

გიორგი გოგაძე

---

დაიბადა 1977 წელს.

2003 წელს დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი, ამავე წელს დაამთავრა წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მას ასევე განათლება აქვს მიღებული დიდი ბრიტანეთის ქ.რედინგის უნივერსიტეტში, ბიზნეს-მენეჯმენტის მიმართულებით.

2013 წლის 6 დეკემბრიდან გიორგი გოგაძე საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილის თანამდებობას იკავებს.

2012-2013 წლებში იგი ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში სხვადასხვა თანამდებობებზე, კერძოდ ადმინისტრაციის უფროსისა და ადმინისტრაციის სამართლებრივ საკითხთა და საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსის პოზიციაზე საქმიანობდა. მას 2009-2012 წლებში ეკავა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სხვადასხვა თანამდებობები, კერძოდ იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ევროინტეგრაციისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი და უფროსის მოადგილე.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენას.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.